კრულებულებრივი ყველა ქვეყნის, შეერთდით! ფელიეტონი მეთოთხმეტე

# კომუნისტი

სსრ. ც. ა. (რ) სკრპ და ცკ. პროფინტერნის და სამ. ბანკის ორგანო

ტელეფონები: ხელ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—13, სამდივნოს—10—52, მთ. კონტორის—8—21

ხუთშაბათი, 12 აპრილი 1934 წ. № 86 (3942)

## პროპაგანდის ფორმალურად დაყენების წინააღმდეგ

უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების, „პირობითად და ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისათვის“ ბრძოლის პირობებში პარტია განსაკუთრებით აყენებს კომუნისტების თეორიული მომზადების დონის ამაღლებისა და იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხს. XVII პარტყრილობაზე ამხ. **სტალინმა** დასახა შემდეგი ამოცანები: 1. ავიყვანოთ სათანადო სიმაღლეზე პარტიის თეორიული დონე, 2. გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა პარტიის ყველა რგოლში; 3. ვიწარმოოთ პარტიის რიგებში ლენინიზმის განუწყვეტელი პროპაგანდა; 4. აღვზარდოთ პარტორგანიზაციები და ძალ მოკიდებულად გავაკრიტიკოთ ზოგიერთი ამხანაგის გადახრა მარქსიზმ-ლენინიზმიდან; 6. სისტემატიურად გამდიდრდეთ ლენინიზმ-სადში მტრულად განწყობილ მიმდინარეობათა იდეოლოგია და ამ იდეოლოგიის წა თება“.

იდეურ-პოლიტიკური მუშაობა დარჩა ბოლოდის იქ იქნება უმნიშვნელოვანესი მითითება წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანას.

იმისათვის, რომ პარტიის წევრ-კანდიდატთა თეორიული დონე ავიყვანოთ სათანადო დონეზედ, საჭიროა პარტიის თეორიული წევრი შეეძაროდეს პარტიულ - პოლიტიკურ ცოდნათა მინიმუმით. პარტიული-პოლიტიკური ცოდნის მინიმუმს წარმოადგენს მარქს-ენგელს - ლენინ-სტალინის მოძღვრებათა **ძირითადი მომენტები**, პარტიის ძირითად გადაწყვეტილებათა (კონგრა, განსაკუთრებით ამხ. სტალინის მოხსენების და XVII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლა. ეს მოსწინია და გადაწყვეტილებანი წარმოად გვიფენ ლენინიზმის ცოდნის დონეს და იძლევა მუშაობის პროგრამას ხანგრძლივი პერიოდისათვის.

XVII პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა დამუშავება-შესწავლა მ-ძღვანარეობს ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში. ძალ ზე ვაინაოდა მასების აქტივობა და მისწრაფება ყრილობის გადაწყვეტილებათა და განსაკუთრებით ამხ. სტალინის გენიალური მოხსენების შესწავლისაკენ. მუშები და კოლმეურნეები ემზადებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდის ჩასაბარებლად ამხ. სტალინის მოხსენებაზე.

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გამოცდის იდეა, რომელიც წამოაყენეს მოსკოვის მოწინავე ჭარხლების მუშებმა, წარმოადგენს თეორიული ცოდნის ამაღლებისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუალებას, მაგრამ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკეთესო მეთოდი სათანადოდ ვერ გამოიყენა. XVII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა სერიოზული შესწავლის ნაცვლად ადგილი აქვს ხშირად, ცალკეულ დავალებათა ფორმალურ გაზეპირებას. ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მოხსენების სერიოზული შესწავლის გარეშე ატარებენ პოლიტბრძოლას, პოლიტდეკტორინას, პოლიტდასტაროებს, ავრცელებენ სტენოგრამულ კითხვარებს პოლიტბრძოლის ჩასატარებლად, რომლებიც შეიცავენ ოლქკომების და რაიკომების მიერ შეუმოწმებლად და დაუმტკიცებლად. პარტიის წევრებს აჩვევენ შაბლონური პასუხების მიცემას წინასწარ გავრცელებულ შაბლონურ კითხვებზე. ამით კი სკკმ(ბ)პ თვითეული უბნის საბრძოლო ამოცანასთან დაკავშირებლად XVII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლას ცოცხალ საქმის ხდიან სქოლასტიკად, უაზრო გაზეპირებად.

ტფილისის წარმომადგენლობა ზოგიერთ კომუნისტს იმის ნაცვლად, რომ ამხ. სტალინის მოხსენება ეჭიროს ხელში და სწავლობდეს მას, ხელში უჭირავს შაბლონური „კითხვარები“ და უფრო „მომზადებული“ ამხანაგის გამოკითხვით ემზადება გამოცდის „პასპარებლად“. კიდევ მეტი, ტფილისის ტრამვაის პარტორგანიზაციამ კითხვარებთან ერთად შაბლონური „პასუხებიც“ დაურიგა და ისე „მომზადა“ პარტიის წევრები გამოცდისათვის. **ამხ. სტალინის მოხსენებას და ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისადმი ასეთი ფორმალური მიდგომა, ხმაურობა და კითხვარები კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს.**

ამხ. სტალინის მოხსენებისა და XVII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის სერიოზულად დაყენებისათვის პასუხისმგებელია **პირადად** რაიკომის მდივანი და მისი მოადგილე. პარტია სასტიკ პასუხს მოსთხოვს მათ, ვინც სერიოზულად არ მოკიდებს ხელს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის საქმეს და ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მუშაობის გარდაქმნას.

მიუხედავად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაფრთხილებისა. ზოგიერთი რაიკომის მდივანი დღემდე არ გრძნობს პასუხისმგებლობას ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის საქმის დაყენებისათვის, არ აყენებს რაიკომის ბიუროზე საკითხს. თუ როგორ მიმდინარეობს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა. მაგალითად, ყვარლის რაიკომს (მდივანი ამხ. **ადამაძე**) დღემდე არ დაუსვამს ბიუროზე საკითხი რაიონში ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის მიმდინარეობის შესახებ. ეს იმ დროს, როდესაც რაიონში ეს შესწავლა **სრულიად არადამაკმაყოფილებლად** მიმდინარეობს. სკოლების თითქმის უმრავლესობა რაიონ ში ჩაწლოილია. მაგ., სოფელ **გავაზში** წელს არც ერთი მიკიადინეობა არ შემდგარა (წრეების რიცხვში კი აქვთ შეტანილი), სოფ. **კუჭატანში** ორი თვის მიკიადინეობა სრულიად არ ჩატარებულა და სხვ. რაიონში დღემდე არ მოპოვებია ლიტერატურა: ამხ. სტალინის მოხსენება და XVII ყრილობის გადაწყვეტილებები. ეს ხდება იმიტომ, რომ რაიკომის მდივანი და მისი მოადგილე სერიოზულად არ ფიქრობენ პოლიტშწრეების მიცდენებაზე. რაიკომის ინსტრუქტორებიც ხშირად რაიკომის აპარატში სხ---ან და იქიდან უგზაკნიან „ირიქტივებს“ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. დაახლოებით ასეთივე ჰეგემონიაა ონის, ახალქალაქის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებში.

რაიონულ გაზეთებში დღემდე სუსტად შუქდება ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება-შესწავლა. თითქმის ვერც ერთ რაიონულ გაზეთში ვერ შეხვდებით კრიტიკას იმ ორგანიზაციების, რომლებიც ფორმალურად უდგებიან ამხ. სტალინის მოხსენების და ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების. რაიონულმა გაზეთებმა სათანადოდ უნდა გააძლიერონ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის მიმდინარეობის გაშუქება.

რაიკომის ინსტრუქტორებმა ადგილებზე უნდა უზრუნველყონ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის სანამუშოდ დაყენება, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ზერეულად და ფორმალურად დამუშავების ფაქტებს.

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გამოცდების ჩატარებისათვის ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ არა ფორმალურად შედგენილ კითხვებზე გაზეპირებული პასუხების გაცემით, არამედ ამხ. სტალინის მოხსენების და ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლის საფუძველზე.

8 და 9 აპრილს ბანაკში ადგილი ჰქონდა ყინულების ძლიერ მოძრაობას და შეკუმშვის შედეგად დამტვრა ეროდრომი. ჩელიუსკინელებს დასჭირდათ მთელი ძალების მობილიზაცია, რომ გადაეტანათ ამხ. სლეპნევის თვითმფრინავი სხვა აეროდრომზე და მოემზადებინათ ახალი დასაშვები მოედნები.

ჩელიუსკინელთა ბანაკის მდგომარეობა 7, 8 და 9 აპრილში ლამაზად აწერილია ამხ. შუპაკოვის მიერ (იხ. დღეს მოთავსებული დეპეშა 10 აპრილის თარიღით).

8 და 9 აპრილს ამინდი დამოკიდებული იყო ალიასკისაკენ ჩრდილოეთით აღმოსავლეთით მთელი რიგი ციკლონების გადანაცვლებისაგან და არ იყო ხელსაყრელი გასაფრენად.

9 აპრილს ციკლონის ზონრგის ნაწილში დაისახა არქტიკის ჰაერის შემოჭრა, რაც 10 და 11 აპრილს გაცრცელდა მაშველი სამუშაოების მთელ რაიონზე. არქტიკის ჰაერმა გამოიწვია კარგი ხილულობა და სუსტი ქარები — გასაფრენად ძალიან ხელსაყრელი პირობები, თუმცა ძლიერი ყინვები დაიჭირა (ბანაკში — 36 გრადუსი).

# მავნიჭუგურსკის გიგანტის დამკვრელები მოითხოვენ ახალი სესხის გამოშვებას

## წერილი ს. ს. რ. კ. სახკომაბჭოს, საბჭოთა კავშირის ყველა მუშას, მუშა ქალებს, კოლმეურნეებს, კოლმეურნე ქალებს, ყველა მშრომელს

ხუთი წლის წინათ, 1929 წლის აპრილში მშენებელ მუშათა პირველმა პარტიამ დაიწყო დროებითი საცხოვრებელი ბინების აგება მაგნიტომშენის მოედანზე. **ხუთი წლის წინათ, აქ, ურალის სამხრეთით მაგნიტნაიას მთასთან დაიწყო განხორციელება პარტიის და მუშათა კლასის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის იდეის—საბჭოთა კავშირის მეტალურგიის მეორე ბაზის შექმნა, კოლოსალური მეტალურგიული კომბინატის აგება.**

ხუთი წელი. მაგრამ რა უდიდესი და უმაგალითო ზრდაა. ბევრი ჩვენგანი, რომლებმაც ჩაწყეს ბრძოლების და მარტენების საძირკვლების პირველი ქვები, დღეს დგას მადნის სამტვრევებთან, ბრძოლის ჭურასთან, მარტენის ღუმელებთან, სატკეც დაზგებთან, საკოქსე ბატარეებთან.

ჩვენ ვმუშაობთ მომჭედელ ქარხანაში, რომელიც გადაიქცა მეტალურგიის მსოფლიო გიგანტად. რომლისაც სამართლიანად ამაყობს მთელი ჩვენი ქვეყანა და ჩვენ გვიგრძნობთ ახალი ბრძოლების, მარტენის ღუმელების, სატკეცი დაზგების შენების.

ჩვენი კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობამ ამხ. სტალინის პირით შეაჯამა იმ უდიდეს გამარჯვებათა შედეგები, რომლებიც მიღწეულია სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

**ბოლშევიკების პარტიამ, რომელსაც სათავეში უდგას ლენინის საქმის საუკეთესო გამგრძელებელი, გენიალური ბელადი და საყვარელი მასწავლებელი — ჩვენი სტალინი, აამაღლა მუშათა, კოლმეურნეთა და მწრომელთა ათეული მილიონები ახალი ცხოვრების ასაშენებლად.**

პარტიამ დარაზმა შემოქმედებითი ძალები „პროლეტარიატისა და გლეხობისა, რომლებისთვისაც შრომა სათაკილო და მძიმე ტვირთიდან გადაიქცა ღირსების საქმედ, სახელის საქმედ, მამაცობის და გმირობის საქმედ“ კლასობრივ მტერთან დაუნდობელ ბრძოლაში, მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში ჩვენ საკუთარი ძალებით გარდავქმენით ჩვენი ქვეყნის სახე, შევცვალეთ ქალაქების და სოფლების სახე.

**ჩვენ ვაშენებდით და ვაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას უცხოეთის სესხების დაუმხარებლად. ჩვენს საკუთარ პროლეტარულ ხარჯზე.**

მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულმა მავნიტნაიას მთამ ჩვენს ქვეყანას უკვე მისცა მილიონი ტონა მადანი, ხოლო დღეს მაგნიტოგორსკის მაღაროელები იბრძვიან იმისათვის, რომ შეასრულონ წლიური პროგრამა —მიიღონ 4 მილიონი ტონა მადანი ჩვენი ბრძმედებისა და სტალინსკის ბრძმედებისათვის.

ჩვენი კოქსქიმიური კომბინატი მისი პირველხარისხოვანი ღუმელებით ყოველდღე იძლევა 3½—4 ათას ტონა მეტალურგიულ კოქს. საბჭოთა კავშირის სრამაყე — მაგნიტკა საბრძმედო საამქრო უკვე დღესვე იძლევა უფრო მეტ ლითონს, ვიდრე წარსულში ძთელი ურალის მეტალურგია — თუ საკავშირო გამოდნობის დაახლოვებით 12 პროცენტს.

**ჩვენი ბრძმედების მუშებმა და საინჟენერო-ტექნიკურმა მუშაკებმა ამხანაგ სტალინის მოთხოვნის საპასუხოდ. „ალმოფხვრან შავი მეტალურგიის ჩამორჩენა“, შეასრულეს კვარტალის პროგრამა თუჯის ბაზით.**

ჩვენს მაღაროების ღუმელებში ავიყვანეთ მაღალხარისხოვანი საავტოტრაქტორო და საღერძე ფოლადის წარმოება. მარტენის ხუთი ღუმელი ყოველდღიურად იძლევა ათასხუთასამდე ტონა ფოლადს. უმატებენ რა ყოველდღე ტემპებს, მაგნიტოგორსკის პირველხარისხოვანი ბლიუმინგი, დაზგა „630“ და მწყობრში ახლად შემავალი დაზგა „450“ უკვე ახლა ტკეცავენ ათასხუთასამდე ტონა ლითონს დღე-ღამეში. აგებულია და ენერგიას აწვდის მეტალურგიულ ქარხანას ცენტრალური ელექტროსადგური 100 ათასი კილოვატის სადღეღამისო სიმძლავრით.

ბრძმედებთან, მარტენებთან ერთად იზრდებოდენ ადამიანები — ინდუსტრიალური სიმძლავრის შემქმნელები, შრომისადმი ახალი სოციალისტური დამოკიდებულების შემქმნელები. მთელმა საბჭოთა ქვეყანამ იცის სახელები **გალიაულინის**, რომელმაც დაჩრდილა ბეტმანის ზელის რეკორდები, ინჟენერ **ბეკეტრის**, რომელმაც უცხოელთა დახმარებისგარეშე დაამონტაჟა სამტვრევის, ბლიუმინგის, სატკეცი დაზგების ურთულესი აგრეგატები, ინჟენერების **ფოსტოვსკისა და ჯაფარიძის**. რომლებმაც დაამონტაჟეს 50 ათას კილოვატიანი ტურბინა, მარტენისა და ბრძმედის ოსტატ - ბუნტოველების **კლიმენკოს და მოროზოვის სახელები.**

ასეთი ადამიანები მაგნიტოგორსკში ასობითაა, — ამ ადამიანებისათვის, ისე, როგორც მაგნიტოგორსკის ყველა პროლეტარებისათვის, გახსნილია გზა უმაღლესი ტექნიკის და ძეცნიერების შეთვისებისაკენ. რევოლუციამდე ურალზე იყო ერთი უნივერსიტეტი სვერდლოვსკში, ახლა მარტო მაგნიტოგორსკში 2 უმაღლესი სასწავლებელია და 2 ტექნიკუმი.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

ქარხნების მშენებლობაში ჩვენ უკვე დავბანადებით 600 მილიონი მანეთი. მეორე ხუთწლედში კომბინატის მშენებლობის გეგმის შესასრულებლად საჭირო იქნება კიდევ ასობით მილიონი მანეთი

მეტალურგიის გიგანტთან ერთად ჩვენ ვაშენებთ ქალაქს 200 ათასი მცხოვრებისათვის.

ახალი ქალაქი მდინარე ურალის მარჯვენა ნაპირზე უნდა გადაიქცეს სოციალისტური კომუნალური მშენებლობის და საბჭოთა ხუროთმოძღვრების ნიმუშად. ეს იქნება ქალაქი ავტობუსების, ტრამვაით და სატროლეიბუსო მოძრაობით, მწვანე ნარგავების ქალაქი, სოციალისტური კულტურის ქალაქი. ეს მშენებლობა იმდენად ინდუსტრიალური მშენებლობის დამატებით მეორე ხუთწლედში მოითხოვს რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს.

მაგნიტომშენი უკვე დღესაც გარშემორტყმულია სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დიდი ქსელით და უდიდესი საბჭოთა მეურნეობებით, რომლებიც შეიარაღებული არიან ასობით მძლავრი ტრაქტორებით და კომბაინებით. ჩვენს თვალწინ ხდება ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის დაძლევა.

მაგრამ მაგნიტომშენი — ეს მხოლოდ იმ გიგანტური მშენებლობის ნაწილია, რომელიც წარმოებს ჩვენს ქვეყანაში. უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება. სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური - კულტურული დონის 2—3-ჯერ ამაღლება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცება მოითხოვენ სოციალისტური დაგროვების ყველა წყაროს მობილიზაციას, მოითხოვენ იმ ახალი სახსრების და ძალების მოზიდვას, რომლებიც მოეპოვება ზრდისა და განვითარების პროცესში მყოფ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას.

პირველი ხუთწლედის მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირის მშრომელებმა პროლეტარულ სახელმწიფოს სესხის სახით მისცეს თავისი დანაზოგი—6 მილიარდი მანეთის ოდენობით. მუშისა და კოლმეურნის მიერ თავის სახელმწიფოსათვის მიცემული თვითეული მაგეთი ნაბეჭდი ასრულებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ტემპებს, ამაღლებს მშრომელთა კეთილდღეობას, ამტკიცებს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობას.

კაპიტალისტების სესხები — ეს არის იმპერიალისტური ომის მომზადების, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების, მშრომელთა ჩაგვრის, ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცების სესხები, ეს არის ჩამორჩენილი ქვეყნების უძლეველი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამორჩილების სესხები.

ჩვენი სესხები — ეს არის სოციალისტური მშენებლობის სესხები. ეს არის მეორე ხუთწლედის შესრულების სესხები.

ბრძმედების მუშათა ინიციატივით ჩვენ, მაგნიტომშენის მუშები და საინჟენერო-ტექნიკური მუშაკები, მივმართავთ მთავრობას თხოვნით გამოუშვას მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი ერთსულოვნად დაუმერს მხარს ჩვენს წინადადებას.

გაუმარჯოს ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხანაგ სტალინს!

მაგნიტომშენის მუშების და საინჟენერო - ტექნიკური მუშაკების დავალებით — დამკვრელები:

**კლიშევიჩი, ფორტუნილი, ლესკოვი, კლიმენჩენკო, საველიევი, სალნიკოვი, ნუზმანი, ალიაროვი, ახმეტი ვალიი, უტკინი, მიხალევი, არუთვა, იჩოშვილი, კოზლენკოვი, გეზგოლიტვენი, იოფე, ტუსკანოვსკი, კუზნეცოვი, სვისტალნიი, შევჩენკო, ფასტოვსკი, ჯაფარიძე, აბრასიმოვი, მალცევი, მუგანცევი, მუხამედი, გეკერი, ცვეტკოვიჩი, ტიუნკოვი, ჟივოდკინი, შადევსკაია, ჩებოტარიოვი, ჩუპკინი, კოზლენკო, მეტელსკი, მახაროვი, პადინი, პერენჩენკო, პანჩენკო, კალიუჟა, კურილნიკოვა ფედოროვა. მუხამეტოვი მოზგოვოი. მარტინჩენკო, მატუსევიჩი. სმაკაევი, ტარასენკო. კირიჩენკო. სელიონკო, მუსალიტინა, კოვალიოვი, შერსტოვი.**

ერთვნული ბიბლიოთეკა

ჩელიუსკინელთა დასახმარებლად

# საბჭოთა გმირმა მფრინავებმა კიდევ გადაარჩინეს 62 კაცი

## ჩელიუსკინელთა დასახმარებლად აღმოჩენილ მთავრობის კომისიის ცნობა

თვითმფრინავების გაშლილი ოპერაციები ჩელიუსკინელთათვის დახმარების აღმოსაჩენად დაიწყო 3 აპრილს. ამ დროისათვის ვაიკარემში თავი მოიყარა ანადირიდან უელენზე გავლით მოფრენილ ამხ. კამანინის და მოლოკოვის მანქანებმა და ალიასკიდან მოფრენილ ამხ. სლეპნევის თვითმფრინავებმა. ამავე დროს ვანკარემში იყო აგრეთვე მთავრობის კომისიის რწმუნებული ამხ. უშაკოვი, რომელიც მოფრინდა ამხ. ლევანევსკისთან ერთად, რომლის მანქანამაც დაშვების დროს განიცადა ავარია. 7აპრილს ამხ უშაკოვი ამხ. სლეპნევის, კამანინის და მოლოკოვის თვითმფრინავების რგოლით გაემართა ბანაკისაკენ, საიდანაც ამხ. კამანინმა და მოლოკოვმა პირველსავე რეისზე წამოიყვანეს ხუთი მგზავრი.

ამხ. სლეპნევის თვითმფრინავს დაშვების დროს დაუზიანდა შასი (გატყდა მარჯვენა სამაგრი) და იგი იძულებული გახდა გაჩერებულიყო ბანაკში.

8 და 9 აპრილს ბანაკში ადგილი ჰქონდა ყინულების ძლიერ მოძრაობას და შეკუმშვის შედეგად დამტვრა ეროდრომი. ჩელიუსკინელებს დასჭირდათ მთელი ძალების მობილიზაცია, რომ გადაეტანათ ამხ. სლეპნევის თვითმფრინავი სხვა აეროდრომზე და მოემზადებინათ ახალი დასაშვები მოედნები.

ჩელიუსკინელთა ბანაკის მდგომარეობა 7, 8 და 9 აპრილში ლამაზად აწერილია ამხ. შუპაკოვის მიერ (იხ. დღეს მოთავსებული დეპეშა 10 აპრილის თარიღით).

8 და 9 აპრილს ამინდი დამოკიდებული იყო ალიასკისაკენ ჩრდილოეთით აღმოსავლეთით მთელი რიგი ციკლონების გადანაცვლებისაგან და არ იყო ხელსაყრელი გასაფრენად.

9 აპრილს ციკლონის ზონრგის ნაწილში დაისახა არქტიკის ჰაერის შემოჭრა, რაც 10 და 11 აპრილს გაცრცელდა მაშველი სამუშაოების მთელ რაიონზე. არქტიკის ჰაერმა გამოიწვია კარგი ხილულობა და სუსტი ქარები — გასაფრენად ძალიან ხელსაყრელი პირობები, თუმცა ძლიერი ყინვები დაიჭირა (ბანაკში — 36 გრადუსი).

10 აპრილს მფრინავი **კამანინი** ერთხელ გაფრინდა ბანაკში, საიდანაც მოიყვანა ვანკარემში სამი კაცი. ამხ. **სლეპნევმა**, რომელიც დაზიანებული მანქანის შეკეთების შემდეგ 10 აპრილს გაფრინდა ბანაკიდან, ვანკარემში მოიყვანა 6 კაცი.

მფრინავმა ამხ. **მოლოკოვმა** 10 აპრილს ჩაატარა სამი ბრწყინვალე გაფრენა ბანაკში და ბანაკიდან მოიყვანა 13 კაცი.

სულ 10 აპრილს ვანკარემში მოყვანილ იქნა 22 კაცი.

10 აპრილს გადარჩენილთა გვარები დასახელებულია ამხ. **უშაკოვის** დეპეშაში.

ფრენა გრძელდებოდა 11 აპრილსაც, ამხ. **უშაკოვის და პეტროვის** გადმოცემით, 11 აპრილს მფრინავებმა ამხ. **მოლოკოვმა და კამანინმა**, რომლებმაც ერთად 7 რეისი გააკეთეს. მოიყვანეს 35 კაცი, მათ შორის ექსპედიციის ავადმყოფი უფროსი ამხ. **ო. ი. შმიდტი**, ექიმ ამხ. **ნიკიტინის** თანხლებით.

11 აპრილს გადარჩენილთა გვარები დასახელებულია ამხ. **უშაკოვის** 11 აპრილის დეპეშაში, რომელიც დღეს იბეჭდება.

მთავრობის კომისიამ მიიღო ამხ. **ბობროვის** მოხსენება იმის შესახებ, რომ მან შეასრულა დირექტივა და იკისრა ბანაკის ხელმძღვანელობა ავადმყოფ **შმიდტის** ნაპირზე გადაზვნის გამო. შმიდტის ტემპერატურა 39 გრადუსს აღემატება.

ამგვარად, 7 აპრილიდან დაწყებული, მფრინავთა განსაკუთრებულ გმირობის მეოხებით ბანაკიდან გამოყვანილია 62 ჩელიუსკინელი (გარდა ამხ. **ბაბუშკინისა და ვალენტინოვისა**). ყინულზე დარჩა 28 კაცი.

11 აპრილს დღის დამლევისათვის, ანადირიდან ვანკარემში მოფრინდა პოლარული მფრინავი, ამხ. **დორონინი**, რომელმაც გადალახა ანადირის ქედი. იმავე დღის სევერნის კონცხთან დაეშვა ამხ. **ვოდოპიანოვი**, რომელმაც აგრეთვე გადალახა ქედი. ამხ. ვოდოპიანოვის მანქანას 12 აპრილს გარიჟრაზე მოელიან ვანკარემში იმ მიზნით, რათა ვანკარემში მყოფ დანარჩენ მანქანებთან ერთად გაფრინდეს ბანაკში. ამხ. **ლალაშევის** თვითმფრინავი მოტორის დაზიანების გამო, ანადირში შეჩერდა

# მოწინავე საკოლმეურნეო ბრიგადირების გამოცდილება ჩამორჩენილებს

## ბრიგადირთა სოც-შეჯიბრების შედეგად

### ერთი-ორად გაიზარდა ხვნის ტემპები

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან.).

**გურჯაანის** რაიონის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები თავიდანვე აქტიურად გამოეხმაურენ მილოსტ-კურაგინის კოლმეურნეობათა ბრიგადირების სოცშეჯიბრებაში გამოწვევას საგაზაფხულო კამპანიის **სწორად და კარგად** ჩატარებაზე. გურჯაანის პარტ-რაიკომის და სამხანგლო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობით კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა მილოსტ-კურაგინელთა სოცშეჯიბრების პირობების დამუშავება. სამხანგლო-სატრაქტორო სადგურის ცალკე აგრო-საწარმოო უბნებში (კარდენახი, ველისციხე, კაჭრეთი) 24-დან 27 მარტამდე ჩატარდა ბრიგადირების შეკრება და თანაბრები სოცშეჯიბრების კონკრეტული პირობების დასამუშავებლად. საუბნო თათბირების შემდეგ სოცშეჯიბრების მოწყობის საკითხი გადატანილი იქნა ცალკე კოლმეურნეობებში, ბრიგადებში და ჯგუფებში. საკოლმეურნეო ბრიგადებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადაში და ხარისხოვნად ჩატარებისათვის. აშკარად გურჯაანის **რაიონში ბრიგადირთა სოცშეჯიბრება გაფორმებულია 60 კოლმეურნეობასა და 215 ბრიგადაში.**

მილოსტ - კურაგინელთა მოწოდებასთან დაკავშირებით **სოცშეჯიბრების მოწყობის შემდეგ ერთიორად გაიზარდა ხვნა-თესვის ტემპები და საგრძნობლად გაუმჯობესდა მინდვრის სამუშაოთა ხარისხი.** ამას მოწმობს მაგალითად ის, რომ უკანასკნელ ხუთდღიურში წინა ხუთდღიურთან შედარებით ხვნის ტემპები გაიზარდა 75 პროც.,

ხვნა-თესვის ტემპების ზრდა უფრო თვალსაჩინოა ცალკე კოლმეურნეობების მიხედვით. ასე მაგალითად სოფ. გურჯაანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციაში“ (თავმჯდომარე **ხახრელიძე**), ნიკო **ჭანტურიძის ბრიგადის თითო გუთნეული შეჯიბრებაში ჩაბმამდე ხნავდა 0,35 ჰექტარს დღიურად, შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ იმავე ბრიგადის თითო გუთნეული საშუალოდ ხნავს 0,55 ჰექტარს.**

სოფ. არაშენდის კოლმეურნეობა პირველ მაისში (თავმჯდომარე **ჭაჭუაშვილი**), გიორგი მდლელაშვილის **ბრიგადა შეჯიბრებაში ჩაბმამდე დღიურად ხნავდა ერთნახევარ ჰექტარს, შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ იგივე ბრიგადა იმავე გუთნეულით და ხარებით ხნავს და თესავს 2 ნახევარ ჰექტარს დღიურად. შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ დღიური გამომუშავების ნორმები სისტემატიურად და მთლიანად გადაჭარბებით სრულდება სოფ. შაშიანის, კარდენახის, უანდაურის და არაშენდის კოლმეურნეობებში.**

ეს იმით აიხსნება, რომ სოცშეჯიბრების მოწყობის შემდეგ გაუმჯობესდა კოლმეურნეთა გამგეობების **კონკრეტული ხელმძღვანელობა ბრიგადებისადმი და ბრიგადირების ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო ჯგუფებისა და ცალკე წევრებისადმი.** ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბრძოლას **სამუშაო დღის გაცდენისათვის.** იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ სპეციალური მიზეზის გარეშე სამუშაო დღის გაცდენა შეუმჩნეველი და დაუსჯელი დარჩეს. გარდა ამისა **ყოველდღიურად სწარმოებს სამუშაოს მიღება ბრიგადებისა და ცალკე წევრებისაგან რაოდენობის და ხარისხის მიხედვით.**

ცხადია ყოველივე ამით განმტკიცდა შრომის დისციპლინა და იმატა შრომის ნაყოფიერებამ.

მაგრამ **არიან ჩამორჩენილებიც.** ასე მაგალითად სოფ. ჯიმითის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **დარჩიაშვილი**), **სოცშეჯიბრებაში ჩაება ფორმალურად.** ამ კოლმეურნეობაში ბილოსტ-კურაგინელთა ბრიგადირების მიმართვის დამუშავებასთან დაკავშირებით **არ მოწუწყვიათ კონკრეტული ვალდებულებათა აღება.** შეჯიბრებაში ჩაბმას ფორმალურად ეკიდებიან ავრეთვე **კაჭრეთის და ბოგდანოვკის კოლმეურნეობათა გამგეობები.**

ყოველივე აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოიყვანოს გურჯაანის სამხანგლო-სატრაქტორო სადგურის დირექციამ. მან ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს სოცშეჯიბრების **ნამდვილ საქმიან ორგანიზაციას** ფეიეთულ კოლმეურნეობაში, თვეთეულ ბრიგადაში და სათანადო პასუხი მოსთხოვოს **იმ კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომელნიც მხოლოდ ფორმალურად ებმებიან სოცშეჯიბრებაში და საქმით კი არაფერს აკეთებენ ბრიგადირების სოცშეჯიბრების მოწყობისა და ხვნა-თესვის ტემპებისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

ვ. ჯოჯუა.

## ახალგაზრდა ბრიგადირი

— თქვენ მეშვიდე ბრიგადა გსურთ დაათვალიეროთ? დღეს ისინი მახლობელ ნაკვეთზე იქნებიან, აი აგერ სკოლას რომ გასცილდებით და ჩაის ახალგაზრდა პლანტაციაზე გადახვალთ, **კოლია შენგელიას** ბრიგადასაც იქ შეხვდებით.

— კოლიას ბრიგადა განაგრძო საკოლმეურნეო პარტუჯრედის მდივანმა რ. თოდუამ ერთი საუკეთესო თაგანია ჩვენს კოლმეურნეობაში.

ჩაის მწვანე ბუჩქებით აჭრელილი პლანტაციის რამდენიმე ჰექტარი გადავიარეთ და ათიოდე წუთში უკვე მეშვიდე ბრიგადის ნაკვეთზე ვიყავით. აქ რამდენიმე კაცი მუშაობს დერეფის გაყვანაზე. ბრიგადირი კოლია მათ თავზე დასტრიალებს.

— მეშვიდე ბრიგადაში სულ 25 მუშახელია. მათ შორის 17 მამაკაცია და 8 ქალი. შრომის დისციპლინა სანიმუშოდაა დაყენებული, გაცდენას ამ ბრიგადაში ადგილი არა აქვს ასე მეუბნებიან და ამ რამოდენიმე წუთის წინეთ პარტიული უჯრედის მდივანი, აქ კი სამუშაოზე მხოლოდ 6 კაცია. 25 და 6 აბა რა შედარებაა! სად არიან დანარჩენები.

ამ საკითხზე ალბად ბრიგადირი გვეტყვის რასმე, ვფიქრობ და აი კოლიაც გვიამბობს მისი ბრიგადის მუშაობაზე:

—გეგმით ჩვენ მსუბუქი გადაბარვა 7,5 ჰექტარზე უნდა ჩაგვეტარებინა —დაიწყო კოლიამ,—ეს გეგმა ასი პროცენტით შევასრულეთ ჯერ კიდევ პირველ მარტისათვის. კაპიტალური რემონტი გაუკეთეთ 16 ჰექტარ პლანტაციას, მიმოინარე რემონტი კი 6 ჰექტარს. საერთოდ რემონტის საქმეში ჩვენ გეგმას 6 ჰექტარით გადავაჭარბეთ და სამუშაოც ვადაზე ადრე, ხუთი მარტისათვის დავამთავრეთ. მინერალური სასუქი 28 ჰექტარზე უნდა შეგვეტანა, შევიტანეთ 36 ჰექტარზე.

პირველი კვარტალის სამუშაოები ბუჩქების გასხვეა, გადაბარვა, სასუქის შეტანა, დრენაჟის გაყვანა ჩვენ 20 მარტისათვის დავამთავრეთ: ახლა მეორე კვარტალის **სამუშაოებს** ვაწარმოებთ. განვაგრძობთ დრენაჟის გაყვანას. ამჟამად აქ **მხოლოდ** 6 კაცი მუშაობს, ეს იმიტომ, რომ ჩვენი ბრიგადის დანარჩენი წევრები ეხმარებიან № 1 ბრიგადას. მეოთხე დღეა რაც ჩვენ პირველი ბრიგადა ბუკსირზე ავიყვანეთ, აი აგერ იმ მღლობაზე ჩაის გასხვლაზე ქალები რომ მუშაობენ ჩვენი ბრიგადის წევრებია.

მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა, რომ მთავარი ამოცანაა, ეს კარგათ აქვს შეთვისებული კოლიას. ამიტომ ხარისხის ინსპექციაში შეარჩია მან საუკეთესო დამკვრელები. ბრიგადირთან ერთად ინსპექციის წევრები **თ. გელენიძე, ელიზბარ თოდუა, პ. თოდუა** ყოველ საღამოს ათვალიერებენ და სინჯავენ წამუშევარს. აფასებენ ვინ როგორ შეასრულა სამუშაო.

ინსპექციას არ გამოპარვია ცუდი ნამუშევარი. იქ, სადაც ასე მტკიცედ სდგას ბრიგადირი ხარისხის სადარაჯოზე, არც შეიძლება ადგილი ქონდეს აგრო-მინიმუმის დარღვევას. სწორეთ ამიტომ მეშვიდე ბრიგადაში იშვიათად შეხვდებით ისეთ კოლმეურნეს, რომელიც ცუდათ ასრულებს სამუშაოს. პირველ იანვრიდან დღემდე მხოლოდ ორი ასეთი შემთხვევა იყო. ბრიგადის წევრები **იაკობ თოდუა და ერასტი** თოდუა გამოედევნენ რა გეგმის რაოდენობრივ შესრულებას, მინერალური სასუქი უწესრიგოთ დაყარეს პლანტაციაში, ზოგან სულ ძირში მიაყარეს ჩაის ბუჩქებს, ზოგან კი მწკრივებს შორის დაფანტეს.

იაკობ და ერასტო დააჯარიმეს, შრომადღეები 10 პროც.-ით შეუმცირეს.

მაგრამ, აქ ხარისხს იცავს არა მარტო ინსპექცია, არამედ საველე კედლის გაზეთიც, წითელი და შავი დაფა და გარდამავალი დროშა. გარდამავალი დროშა ამჟამად **პოკრო თოდუას ხელშია.** პოკრო კომკავშირელია და საუკეთესო დამკვრელი. დრენაჟი უნდა გაიყვანო 10 საუნჯეზე, რომ 1,5 შრომადღე დაგიწეროონ. პოკრო 30 — 35 საუნეს ასრულებს. მსუბუქი გადაბარვის ნორმა 100 კვადრატიული საჟენია, პოკრო 120—130 საუნეს აკეთებს **ხაუკეთესო ხარისხით.** ამიტომ ასე გაბნელდა პოკროსათვის გარდამავალი დროშის „წართმევა“— თუმცა ამის მოხალისე ბრიგადაში ბევრია.

სოფ. **რუხის** კოლმეურნეობაში კოლიას ბრიგადა პირველი გამოეხმაურა მილოსტ-კურაგინსკის ბრიგადირების მომართვას—ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ბრიგადირების შეჯიბრებაში ასეთია **ახალგაზრდა ბრიგადირის, კომკავშირელის კოლია შენგელიას მტკიცე გადაწყვეტილება.**

ჯ. შერკუზია.

(სოფ. რუხი. ზუგდიდის რაიონი).

## ინდივიდუალური გოსტნებიდან—კირეულ რაოლებში

(რაიკომის ინსტრუქტორის წერილი)

მუშაობის გარდაქმნამდე ვმუშაობდი საქ. კ.პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. რეორგანიზაციის შემდეგ დატოვებული ვიქენი რაიკომის პ.მგ. ინსტრუქტორად. ჩემს საწარმოო ტერიტორიალურ უბანში შედის ხუთი სას. საბჭო, 24 კოლმეურნეობა და 4 საბჭოთა მეურნეობა, სადაც წამყვან კულტურად ითვლება მევენახეობა.

გურჯაანის რაიონში 5 წელია ვმუშაობ, მაგრამ ადგილებთან არასოდეს არ მქონია ისეთი ცოცხალი კავშირი, როგორც ახლა; **კაბინეტური ხელმძღვანელობიდან გადავედი ძირეულ რგოლებში პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად და თავი დავაღწიე გრძელი რეზოლუციების და მოხსენებების წერას.**

წინად ნაკლებად ვიცნობდი საწარმოო ბრიგადების მუშაობას კოლმეურნეობებში, ნაკლებად ვიყავი დაინტერესებული გავცნობოდი სოფლის ცალკე უბნების მუშაობას და მეწარმოებია ცოცხალი ადამიანების შესწავლა.

ახლა დავიწყე სტალინური სტილით მუშაობა, შედგენილი მაქვს მუშაობის კალენდარული გეგმა — სად, როდის რა უნდა გავაკეთო. პირველად მუშაობა დავიწყე პირველადი პარტორგანიზაციების, საკანდიდატო ჯგუფების და პარტკომკავშირის ჯგუფების მოწყობით. გავეცანი სოფლის ცხოვრების ყველა დეტალს, ვსწავლობ ცოცხალ ადამიანებს ცოცხალი მუშაობის პროცესში.

მთელი ჩემი ყურადღება გავამახვილე იმაზე თუ როგორ სწავლობენ ცალკე კომუნისტები ამხ. სტალინის მოხსენებას და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს. ამ მხრივ ბევრ დეფექტს წავაწყდი. მაგალითად კალაურის სას. საბჭოს თავმჯდომარე შეკითხვაზე, თუ როგორ ესმის მას მუშაობის ახალი წესით გარდაქმნა, იძლევა ასეთ პასუხს: — „უნდა ვაღიარო, რომ ჯერ კიდევ არა მაქვს წაკითხული ამხ. სტალინის და კაგანოვიჩის მოხსენებაო“. ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა სხვა სას. საბჭოში და პირველად პარტორგანიზაციებში.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის პირველად პარტორგანიზაციებთან ჩამოვაყალიბე საეციალური წრეები მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის მიზნით.

გაჭრეთის საბჭოთა მეურნეობაში პარტიულ და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ამხ. **ხარჭისაშვილ მა** და ადგილობრივის თავ-რე **ავალიან მა** ჩაშალეს მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის საქმე. მე დროულად მივიღე ზომები, აღნიშნული ამხანაგები მოხსნილი არიან თავიანთ თანამდებობიდან და მათ ადგილზე დანიშნულია საქმის მცოდნე ამხანაგები.

კალაურის კოლმეურნეობაში, გამოირკვა, რომ გლეხების ძალით ერეკებოდენ კოლმეურნეობებში. აღნიშნული მდგომარეობა პოლიტგანყოფილების წარმომადგენელთან ერთად ადგილებზე — ბრიგადებში პრაქტიკული მუშაობით დაუყოვნებლივ იქნა გამოსწორებული.

სისტემატიურად ვესაუბრები ცალკე კომუნისტებს, კოლმეურნეებს, და საბჭოთა მუშაობის შესახებ. ამ საუბარს ვიყენებ ერთის მხრივ იმისათვის, რომ გადავცე და შევათვისებინო ამხანაგებს სტალინის და კაგანოვიჩის მოხსენებები, მეორე მხრივ ვსწავლობ ცალკე კომუნისტებს და ხელმძღვანელ ამხანაგებს, თუ როგორ ესმით მათ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი და როგორ ფიქრობენ მის საფუძველზე მუშაობის გარდაქმნას.

ცალკეული კომუნისტების შემოწმებიდან გამომირკვა, რომ ისინი ნაკლებად მუშაობენ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მაგ., **ნიკა ჯგამაიშვილმა** შეკითხვაზე, თუ ვინ გააკეთა მოხსენება მე-17 პარტყრილობაზე, მიპასუხა: — „არ ვიცი, რადგან ლიტერატურა არ წამიკითხავსო“. ამ სამხანაგს ვესაუბრე, მივეცი დავალება, თუ რა უნდა წაიკითხოს და ამ დღეებში შევამოწმებ მიცემული დავალების შესრულებას.

სოფ. კალაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დაუდევრობით გაფუჭდა 330 ფუთი სათესლე ხორბალი. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საკითხი დავამუშავე ძირეულ რგოლებში.

ჩემს მუშაობაში ხელშემშლელი ის გარემოება, რომ შეუძლებელი სასწრაფო საკითხის გადაწყვეტისათვის დავუკავშირდე რაიონს, ტრანსპორტისა და ტელეფონის ქსელის უქონლობის გამო. საჭიროა ამ საკითხის მოგვარებას დროულად მიექცეს ყურადღება.

**საქ. კ.პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის პ.-მგ. ინსტრუქტორი ზარანდია.**

## რაგორ იგრძვის ფიუთის პარტიული სკოლა მის წინაშე მდგარ ამოცანათა გადაჭრისათვის

ფიუთის პარტიული სკოლა სასწავლო წლისათვის მზადების დროულად შეუდგა. მეცადინეობის დაწყებისათვის კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სკოლის შენობას, სასწავლო ინვენტარს და სკოლის შენობაზე დაშენებულ იქნა კლუბი 250 ჯაჭის ტევადობის. გადასინჯულია ლექტორთა შემადგენლობა და შერჩეულია იდეურად მტკიცე, სათანადო ცოდნის და პრაქტიკის მქონე ლექტორები, დამუშავდა სასწავლო გეგმები, პროგრამები და მომზადდა ყველა პირობა მეცადინეობის დროულად დაწყებისათვის.

ივნისიდან შერჩეულ იქნა ახალი ნაკადი. ჩამოყალიბდა 3 განყოფილება (პარტნაწილის, საბჭოთა, პროფლიტგანმანათლებლობა), 4 ჯგუფი (პარტგანყოფილებაში 2 ჯგუფია) და მეცადინეობა დაიწყო რეორგანიზაციის შედეგად მოკლებულ სპეციალიზირებული სასწავლო გეგმებით. ახლა ამოცანათა შორის, რომელიც სკოლის წინაშე დასახა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, მთავარია 8 თვის პროგრამის ამოწურვა 6 თვეში სათანადო ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით.

რა გააკეთა სკოლამ ამ მიმართულებით?

როგორც წესი, სასწავლო გეგმა დამუშავდა საწარმოო თათბირზე, რის სადუქველზე თვითეულმა ლექტორმა შეადგინა საწარმოო გეგმა ეს უკანასკნელი საბოლოოდ განხილულ და დაყვანილ იქნა თვითეულ მსმენელამდე. ამასთანავე თვითეული ლექტორის მიერ შედგენილ იქნა კალენდარული გეგმა, სადაც ნაჩვენებია, თუ სასწავლო პროგრამას რომელი რა დროს იწყებს და ამთავრებს. ამ რიგად, მეცადინეობას მიეცა დაზუსტებული გეგმიანი ხასიათი.

ჩამოყალიბდა ორი საგნობრივი კომისია, რომელიც იხილავს დასამუშავებელი თემებს, ჯგუფს უკეთებს ჩატარებულ მეცადინეობას და შემდგომ მუშაობისათვის იძლევა მეთოდურ მითითებებს, თვეში ერთხელ კომისიები ესწრებიან ლექტორების მეცადინეობას, ადგენენ აქტს და ლექტორს აძლევენ ნებას, და საბჭოთა მუშაობის შესახებ. ამ საუბარს ვიყენებთ ერთის მხრივ იმისათვის, რომ გადავცეთ და შევათვისებინოთ ამხანაგებს სტალინის და კაგანოვიჩის მოხსენებები, მეორე მხრივ ვსწავლობთ ცალკე კომუნისტებს და ხელმძღვანელ ამხანაგებს, თუ როგორ ესმით მათ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი და როგორ ფიქრობენ მის საფუძველზე მუშაობის გარდაქმნას.

ცალკეული კომუნისტების შემოწმებიდან გამომირკვა, რომ ისინი ნაკლებად მუშაობენ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მაგ., **ნიკა ჯგამაიშვილმა** შეკითხვაზე, თუ ვინ გააკეთა მოხსენება მე-17 პარტყრილობაზე, მიპასუხა: — „არ ვიცი, რადგან ლიტერატურა არ წამიკითხავსო“. ამ სამხანაგს ვესაუბრე, მივეცი დავალება, თუ რა უნდა წაიკითხოს და ამ დღეებში შევამოწმებ მიცემული დავალების შესრულებას.

სოფ. კალაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დაუდევრობით გაფუჭდა 330 ფუთი სათესლე ხორბალი. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საკითხი დავამუშავე ძირეულ რგოლებში.

ჩემს მუშაობაში ხელშემშლელია ის გარემოება, რომ შეუძლებელია სასწრაფო საკითხის გადაწყვეტისათვის დავუკავშირდე რაიონს, ტრანსპორტისა და ტელეფონის ქსელის უქონლობის გამო. საჭიროა ამ საკითხის მოგვარებას დროულად მიექცეს ყურადღება.

**საქ. კ.პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის პ.-მგ. ინსტრუქტორი ზარანდია.**

## სერგეი ოსიპისძე მაკაროვსკი

**10 აპრილს 12 საათსა და 45 წუთზე სანახელო საბრძოლო პოსტზე გარდაცვალა ხაბედაცია მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთავარი ინჟენერი ამხ. ს. ო. მაკაროვსკი, რომელმაც იმოღვაწეობდა სასამხაურო მოღვაწეობაში პავლოვის სახ. ქარხანაში.**

**ჩვენ დაკარგეთ დიდი ერუდიციისა და ტექნიკის კოცნოსი ადმინისტრატორი, უდიდესი სპეციალისტი, რომელმაც მთელი ძალღონე და ცოდნა შესწირა მძიმე მრეწველობის განვითარებას.**

**არა მარტო ავიაციის, არამედ აგრეთვე ავტო და სატრაქტორო მშენებლობის უდიდესმა სპეციალისტმა — ამხ. მაკაროვსკიმ მთელი თავისი ცოდნა მოანდომა პრაქტიკულ მუშაობას მრეწველობაში, დაწყებული ისტატის, სამჭრის უროსის, ტექნიკური დირექტორის თანამდებობიდან.**

**1918 წლიდან 1924 წლამდე ამხ. მაკაროვსკი მუშაობს ატო-მრეწველობაში ავტოტრესტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ.**

**1926 წლიდან იგი მუშაობს საავიაციო მრეწველობაში ავია-ტრესტის გამგეობის წევრად.**

**სატრაქტორო მშენებლობაზე გაწეული შემდეგ მისი ათვისების მძიმე პერიოდში, ამხ. მაკაროვსკი გადაყვანილ იქნა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში ქარხნის ტექნიკურ დირექტორად, სადაც, ქარხნის მთავარ ინჟენერ-კონსტრუქტორთან ერთად, ხელმძღვანელობდა ქარხნის მშენებლობას და ტექნიკის მონტაჟს და ხელმძღვანელობდა ქარხნის პირველ ნაკადის გაშვებას.**

**1932 წლიდან იგი ქმნის საავიაციო მრეწველობაში და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობს ავიაციის მთავარ საშტაბო თვეულოს უფროსის მოადგილედ და მთავარ ინჟენერად ამხ. ს. ო. მაკაროვსკი, რომელმაც იმოღვაწეობა სასამხაურო მოღვაწეობაში პავლოვის სახ. ქარხანაში.**

**ამხ. მაკაროვსკის, როგორც ინჟენერ-კონსტრუქტორის, ორგანიზატორის და ავიაციის მუშაკის ნიჭი ვლინდებოდა ყველა ეტაპზე მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის განმავლობაში.**

**ამხ. მაკაროვსკის ხსოვნა დარჩება ჩვენს გულებში, როგორც ერთ-ერთი ბრძოლისუნარიანი, ენერგიული, ინიციატიული ბოლშევიკის, ჭეშმარიტი ლენინელი-სტალინელის.**

## საავიაციო მთავარ სამმართველოს სამძიმარი

საავიაციო მრეწველობის მთავარი სამმართველო, პარტიული კომიტეტი და აღგილობრივი ორგანიზაციები ატყობინებენ, რომ 1934 წელს, 10 აპრილს, 12 საათსა და 45 წუთზე პავლოვის სახ. ქარხანაში უდროოდ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა სპეციალისტი — ინჟინერი, საავიაციო მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე დაჯილდოებული ლენინის ორდენებით — სერგეი ოსიპის-ძე მაკაროვსკი.

## საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

**მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის მთავარ საავიაციო სამმართველოს მთავარი ინჟენერის ამხ. ს. ო. მაკაროვსკის დაკრძალვისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ**

აღნიშნავს რა მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის მთავარ საავიაციო სამმართველოს აღ. 10 აპრილს გარდაცვლილი მთავარი ინჟენერის ამხ. სერგეი ოსიპის-ძე მაკაროვსკის დამსახურებებს საბჭოთა სატრაქტორო მრეწველობის და ავიაციის შენების საქმეში, რისთვისაც ამხ. მაკაროვსკი დაჯილდოებული იყო ლენინის და წითელი ვარსკვლავის ორდენით,

სოციალისტური მრეწველობის განვითარებისათვის თავისი ძალღონის მოხმარების უზარმაზარ ამხ. მაკაროვსკის მოგება ამ ნომენში, თუ როგორც უნდა მუშაობდეს ეს სპეციალისტი — ინჟენერი პარტიასთან და მუშათა კლასთან ერთად.

მგრძნობიარე ამხანაგმა, დიდმა სპეციალისტმა და ტექნიკის მცოდნემ, რომელიც ჩვენი არა მარტო ხელმძღვანელობის არამედ აგრეთვე თავისი ცოდნის სხვებისათვის გადაცემის ხსოვნა დასტოვა მერე მრეწველობის ხელმძღვანელ და საინჟენრო ტექნიკურ კადრებს შორის,

